საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით

საკონკურსო კომისიის

სხდომის შემაჯამებელი ოქმი N4

ქ. ბათუმი, 12 თებერვალი, 2019 წელი

სხდომას ესწრებიან:

საკონკურსო კომისიის წევრები:

1. ჟუჟუნა გუმბარიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2. ნინო ინაიშვილი - ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნ. თანამშრომელი;
3. ციური ქათამაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
4. შორენა მახაჭაძე -ბსუ-ს პროფესორი;
5. ირინა ვარშალომიძე - ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელი.
6. ლალი ზაქარაძე - ბსუ-ს პროფესორი;
7. გურამ გვარიშვილი - ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი.

დღის წესრიგი:

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის N36 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის დებულების საფუძველზე 2019 წლის თებერვალში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით ჩატარებული კონკურსის საფუძველზე საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცება.

მოისმინეს: *კომისიის მდივანმა საკონკურსო კომისიის მე-3 ოქმის*

შესაბამისად წარმოადგინა წინამდებარე შემაჯამებელი ოქმი.

ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის N01-08/184 ბრძანების შესაბამისად გამოცხადებული კონკურსის შედეგად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით წარმოდგენილი იქნა 10 სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, მათ შორის 2 ახალგაზრდა მკვლევრის. საკონკურსო კომისიის N3 სხდომის ოქმის შესაბამისად, გამოცხადდა ერთი გამარჯვებული პროექტი. ყველაზე მეტი ქულა 90 (ოთხმოცდაათი) მიიღო - ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნ. თანამშრომლის, ოლეგ ჯიბაშვილის მიზნობრივმა სამეცნიერო-კვლევითმა პროექტმა - ,,ბათუმი ბრიტანეთის ვიცე-კონსულების ანგარიშებში (1830-1853)“.

საკონკურსო კომისიის მიერ რეკომენდაცია გაეწია ერთ პროექტს, N01-08/184 ბრძანების შესაბამისად, ყველა მიმართულების საკონკურსო კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე წარსადგენად.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაადგინეს:

1. გამოცხადდეს გამარჯვებულად - ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნ. თანამშრომლის ოლეგ ჯიბაშვილის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი - ,,ბათუმი ბრიტანეთის ვიცე-კონსულების ანგარიშებში (1830-1853)“- (90-ოთხმოცდაათი ქულა).

2. ქულების რაოდენობით მეორე ადგილას გასული მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი - ,,სოფ. ქობულეთის გვიანმეზოლითურ-ადრენეოლითური ხანის ნამოსახლარის ინტერდისციპლინური არქეოლოგიური კვლევა-ძიებები თანამედროვე მეთოდების გამოყენებით“, ბსუ-ს ემერიტუს ამირან კახიძის ხელმძღვანელობით (87 - ოთხმოცდაშვიდი ქულა), წარედგინოს *ყველა მიმართულების საკონკურსო კომისიას, გაერთიანებულ სხდომაზე* დამატებით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

3. ოლეგ ჯიბაშვილის - ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნ. თანამშრომლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი - ,,ბათუმი ბრიტანეთის ვიცე-კონსულების ანგარიშებში (1830-1853)“- (90-ოთხმოცდაათი ქულა) - წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

4. წინამდებარე ოქმი გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: პროფ. შორენა მახაჭაძე

მდივანი: ასოც. პროფ. ციური ქათამაძე